საქართველოს საერთო სასამართლოების
მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№2/01-2020 **11 დეკემბერი 2020 წელი**

საქართველოს საერთო სასამართლოების
მოსამართლეთა სადიციოლინო კოლეგიამ
შემდეგი შემადგენლობით:

სხდომის თავმჯდომარე - **იოსებ ვარძელაშვილი**

წევრები: **გიორგი გოგინაშვილი**

მერაბ ლომიძე

მიდვანი - თამარ გაგუა

მხარეები:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

წარმომადგენლები: **ვალერიან გავაშელი, ლევან ნემსაძე;**

---- ----- სასამართლოს მოსამართლე ---- --------;

დახურულ სხდომაზე განიხილა დისციპლინური საქმე ------- ---------- სასამართლოს მოსამართლე ---- --------- მიმართ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 2 ოქტომბრის N------- განკარგულებით, ----- -------- 2018 წლის 06 მარტის N------ საჩივრის საფუძველზე, დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმების შედეგად, ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 75^5-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის და 75^6-ე მუხლის თანახმად, --------- ---------- სასამართლოს

მოსამართლე ------ -------- მიეცა დისციპლინურ პასუხისგებაში, რომლის საფუძველი გახდა ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის ,,ბ.დ'' ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა - მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი;

მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემას საფუძვლად დაედო შემდეგი გარემოებები:

2016 წლის 5 ივლისს ------ ---------- წარმომადგენელმა ---- ---------- სარჩელით მიმართა ------- ------- სასამართლოს მოპასუხეების ------ ---------- და ------ ------- მიმართ უფლებამონაცვლედ ცნობის, მოვალის ქონების მემკვიდრის საკუთრებად აღრიცხვისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თხოვნით.

2016 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

2016 წლის 21 ოქტომბერს სასამართლოს განცხადებით მიმართა ------- ---------- წარმომადგენელმა და 2016 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მთელი სასამართლოს აცილება მოითხოვა, იმ საფუძვლით, რომ -------- --------- წარმომადგენელს ----- ---------- ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა საქმის განმხილველ - ---------- ---------- სასამართლოს მოსამართლესთან.

2016 წლის 21 ნოემბრის განჩინებით ------ ---------- წარმომადგენელს უარი ეთქვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობასა და საქმის წარმოების განახლებაზე.

2016 წლის 2 დეკემბერს --------- -------- სასამართლოს 2016 წლის 21 ნოემბრის განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა --------- ----------

---------- ---------- სასამართლოს ---------- --------- ----- 2017 წლის 16 მარტის განჩინებით ---------- ---------- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა (მომხსენებელი მოსამართლე - ---------- --------- მოსამართლეები: ---------- --------, ------- ----------).

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე დისციპლინური საქმის განხილვის დაწყებამდე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[36]-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულმა მოსამართლე ------- ---------- სრულად აღიარა დისციპლინური ბრალდება. ამასთან, დამატებით განმარტა, რომ არ უნდა მიეღო კერძო საჩივრის განხილვის ფარგლებში მონაწილეობა, ამასთან მხარეს რაიმე ზიანი შედეგობრივი თვალსაზრისით არ მისდგომია, ვინაიდან მის მიმართ სასარჩელო წარმოება უკვე დასრულებული და მიღებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესული იყო. მისთვის არ იყო ცნობილი განხილულ საქმეში მისი ----------

წარმომადგენლის სტატუსით მონაწილეობის თაობაზე და ამის შესახებ შეიტყო მას შემდეგ, რაც დიციპლინური ბრალდების თაობაზე საჩივარი ჩაბარდა.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადიციპლინო კოლეგიამ განიხილა დიციპლინური საქმე, შეისწავლა აღნიშნული საქმის მასალები, დადგენილად ცნო დიციპლინური ბრალდების ფაქტობრივი მხარე და მიიჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამართლებრივი ხასიათის გარემოებები:

,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 75[39]-ე მუხლის თანახმად, სადისციპლინო კოლეგია ადგენს, ჩაიდინა თუ არა მოსამართლემ ქმედება, რომლისთვისაც მას წარედგინა დისციპლინური ბრალდება, და ამ კანონის შესაბამისად არის თუ არა ეს ქმედება დისციპლინური გადაცდომა, სადიციპლინო კოლეგია ასევე ადგენს, მიუძღვის თუ არა მოსამართლეს ბრალი დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში. მხოლოდ სამივე ამ გარემოების არსებობისას არის დიციპლინური კოლეგია უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება მოსამართლის ბრალეულად ცნობისა და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ. სადისციპლინო კოლეგია უფლებამოსილია შეცვალოს მოსამართლის ქმედების კვალიფიკაცია ამ კანონის 75[1]-ე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის დიციპლინური გადაცდომით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს წარმოადგენს დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში მოსამართლის ბრალეულობის დადგენის სავალდებულოობა. თავის მხრივ, ბრალეულობის დასადგენად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა ის ობიექტური გარემოება, რამაც დისციპლინურ გადაცდომად შერაცხული კონკრეტული ქმედების ჩადენა განაპირობა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 75[1]-ე მუხლის მე-8 პუნქტის ,,ბ.დ'' ქვეპუნქტის თანახმად, დიციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი.

იმისთვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა (სახდელი) დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თავით დადგენილი წესით განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დადგინდება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, უნდა შეფასდეს გვაქვს თუ არა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-3 მუხლის თანახმად, მოსამართლე ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი.

ბანგალორის პრინციპების მეორე მუხლის მიხედვით მიუკერძოებლობა არის მნიშვნელოვანი სასამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად განსახორციელებლად; ის ვრცელდება არა მხოლოდ გადაწყვეტილებაზე, არამედ პროცესზეც რომლის შედეგად გადაწყვეტილება მიიღება. ბანგალორის პრინციპების 2.1 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა განახორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებანი ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე; ამავე პრინციპების 2.5 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა აიცილოს საქმე ისეთ შემთხვევებში, როდესაც მას არ შესწევს უნარი საქმე განიხილოს მიუკერძოებლად ან როდესაც გონიერ დამკვირვებელს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მოსამართლეს არ შესწევს საქმის მიუკერძოებლად განხილვის უნარი.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნაში აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) ხსენებულ დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ სამოსამართლო ფუნქციების განსაკუთრებული ხასიათი და სასამართლოს ინსტიტუტის ღირსების შენარჩუნების და მოსამართლეების ყველა სახის ზეწოლისაგან დაცვის აუცილებლობა გულისხმობს, რომ მოსამართლეები ისე უნდა იქცეოდნენ, რომ თავიდან აიცილონ ინტერესთა კონფლიქტი ან თავიანთი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (§37).[1]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1985 წელს შემუშავებული დოკუმენტის „სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების" მე-2 მუხლი ითვალისწინებს შემდეგ პირობას: „სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ზეწოლის, დაშინების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე". მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლეები „ყოველთვის უნდა იქცეოდნენ იმგვარად, რომ შეინარჩუნონ დაკავებული თანამდებობის ღირსება და სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა."

მოსამართლეებმა ნებისმიერ გარემოში უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლად და უზრუნველყონ, რომ მოქალაქეებს არ ქონდეთ კანონიერი საფუძველი დაეჭვდნენ მათ რაიმე სახის მიკერძოებაში. ამ თვალსაზრისით, მიუკერძოებლობა უდავო უნდა იყოს, როგორც მოსამართლეების მიერ სამოსამართლო ფუნქციების, ისე სხვა სახის საქმიანობის განხორციელებისას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის თანახმად, მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის: ა) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს; ბ) ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად; გ) მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია; დ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში; ე) ამ საქმეში მონაწილეობდა მედიატორად. ამ მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, ნათესავებად ითვლებიან: ა) მეუღლე; ბ) დანიშნული; გ) პირდაპირი ხაზის ნათესავები; დ) და-ძმა; ე) დისშვილები და ძმისშვილები; ვ) მშობლების და-ძმები;

[1] ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნა
http://hcoj.gov.ge/files/pdf%20files/aqtebi/CCJE%282001%29OPINION%203_GEO-revised%20final.pdf

ზ) დანათესავებულები (მოყვრები); თ) პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახური ურთიერთობით არიან დაკავშირებულნი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად, აცილების საფუძვლების არსებობისას მოსამართლე ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება. თვითაცილების შესახებ მოსამართლეს (სასამართლოს) გამოაქვს განჩინება, რომელშიც უნდა მიეთითოს თვითაცილების საფუძველი.

მოსამართლე -------- ---------- დეკლარაციის თანახმად, მის მეუღლეთ მითითებულია -------- ---------- რომლის სამუშაო ადგილია სს „----- ---------“. ამასთან, ამავე საქმეში სს „---------- --------“ წარმომადგენლად ფიქსირდება მოსამართლის მეუღლე და მხარის კერძო საჩივარიც და განცხადებაც სწორედ საქმეში მის მონაწილეობას შეეხება. ამდენად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით მოსამართლე ვალდებული იყო განეცხადებინა თვითაცილება და არ მიეღო მონაწილეობა კერძო საჩივრის განხილვაში, ვინაიდან, მხარის წარმომადგენლის მეუღლე იყო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა ადგენს, რომ „სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას თითოეული მოსამართლე მოქმედებს, არა მხოლოდ საკუთარი, არამედ მთლიანად სასამართლო ხელისუფლების სახელით. თითოეული მოსამართლის მიერ განხორციელებული ქმედება ზეგავლენას ახდენს სასამართლო პრესტიჟის სისტემაზე, რაც პირდაპირ აისახება სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობაზე. მოსამართლე უნდა ზრუნავდეს მთლიანად სასამართლო ხელისუფლების პროფესიონალიზმის, სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობისადმი საზოგადოების რწმენის დამკვიდრებასა და ამაღლებაზე.“[2]

„მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა სამართლიანი სასამართლოს უფლების ქვაკუთხედი და მართლმსაჯულების ფუნქციონირების უმთავრესი პრინციპია.“[3] სასამართლო უნდა მოიაზრებოდეს, როგორც პიროვნული ტენდენციურობისაგან და მიკერძოებისაგან თავისუფალი. მოსამართლეებმა ნებისმიერ გარემოში უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლად და უზრუნველყონ, რომ მოქალაქეებს არ ჰქონდეთ კანონიერი საფუძველი დაეჭვდნენ მათ რაიმე სახის მიკერძოებაში. ამ თვალსაზრისით მიუკერძოებლობა უდავო უნდა იყოს როგორც მოსამართლეების მიერ სასამართლო ფუნქციების, ისე სხვა სახის საქმიანობის განხორციელებისას.

მოსამართლის მიუკერძოებლობის სტანდარტებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი განმარტებაა გაკეთებული სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპებში, სადაც აღნიშნულია, რომ (3.1) „მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს რომ მისი საქციელი გონიერი დამკვირვებლის თვალში იყოს უმწიკვლო.“ ამასთან, (3.2) „მოსამართლის ქცევამ და მოქმედებამ უნდა განამტკიცოს საზოგადოების ნდობა სასამართლოს

---

[2] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა, საქმე #დს-შ/1-16, 18.03.2016 წელი http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/18-marti-1-16.pdf

[3] საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 02.03.2017 წლის გადაწყვეტილება

შეუვალობის მიმართ. მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ უნდა გამოჩნდეს როგორც აღსრულებული.“

„თვითაცილება და აცილება არის პრობლემური სიტუაციიდან გამოსავალი, ე.ი. მიკერძოებულობის გარეგნული გამოხატულების პრობლემის დაძლევის მექანიზმი. აცილების ინსტიტუტის ქმედით გამოყენებას შეუძლია, გადაარჩინოს სასამართლოს ლეგიტიმურობა და გაანეიტრალოს კონფლიქტი. აცილების ინსტიტუტის არაქმედითობა იწვევს საზოგადოების ნდობის დაკარგვას. ნდობის კრიზისი ინფექციური ეფექტით ვნებს მართლმსაჯულებისადმი მიუკერძოებლობის წარმოდგენას“.[4] შესაბამისად, აცილება - ეს არის დოქტრინა, რომელიც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია (crucial to protect) ორივე, როგორც მართლმსაჯულების მიუკერძოებლობის, ისე მისი მიუკერძოებლობის აღქმის უზრუნველსაყოფად (United States v. Gipson). სამართლიანობის გარეგნული გამოხატულება ისეთივე მნიშვნელოვანია როგორც თავად სამართლიანობა.[5]

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-31-ე მუხლებით გათვალისწინებული მოსამართლის აცილების/თვითაცილების ინსტიტუტი სამართლიანი სასამართლოს პრინციპს ემსახურება და გარანტირებულს ხდის მხარის უფლებას, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-6 მუხლის შესაბამისად, მისი საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა მოსამართლემ. მოსამართლე ვალდებულია, განაცხადოს თვითაცილება, მიუხედავად იმისა, მხარე გამოხატავს თუ არა უნდობლობას მის მიმართ. საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმის განმხილველი შემადგენლობის აცილების საფუძვლები პირობითად შეიძლება დავყოთ ობიექტურ და სუბიექტურ კრიტერიუმებად, თუმცა, ისეთ ვითარებაში, როდესაც სასამართლო აქტითაა დადასტურებული, თუნდაც სუბიექტური წინაპირობის არსებობა, სასამართლო ყოველთვისაა ვალდებული, განაცხადოს თვითაცილება, მიუხედავად იმისა, მხარე გამოხატავს თუ არა უნდობლობას მის მიმართ. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსამართლის აცილების საკითხის განხილვისას უფრო მნიშვნელოვან გარანტიებს აწესებს ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნა. ამასთან, იმ საქმეების უდიდეს უმრავლესობაზე, რომლებიც მიკერძოებულობის საკითხს ეხება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აქცენტს სწორედ ობიექტურობის ტესტზე აკეთებს. ობიექტურობის ტესტით უნდა დადგინდეს, თუ რამდენად აქვს ადგილი დადასტურებად ფაქტებს მოსამართლის ქცევისაგან დამოუკიდებლად, რომლებიც ეჭვს ბადებს ამ უკანასკნელის მიუკერძოებლობაში. აღნიშნულის ფარგლებში, იმის განსაზღვრისას, არსებობს თუ არა კონკრეტულ საქმეში ლეგიტიმური ეჭვი იმის შესახებ, რომ ესა თუ ის მოსამართლე ან ორგანო, რომელიც განიხილავს საქმეს, არ არის საკმარისად მიუკერძოებელი, მოცემული პირის პოზიცია არ არის გადამწყვეტი. გადამწყვეტი ამ შემთხვევაში არის ის, თუ რამდენად არის პირის ეჭვი

---

[4] John Leubsdorf, Theories of Judging and Judge Disqualification 62 N.Y.U.L. Rev.237, 245 (1987)

[5] Ex parte Bryant, 682 So. 2d 39, 41 (Ala. 1996)

მიკერძოების შესახებ ობიექტურად გამართლებადი, ანუ რამდენად აქვს მას შიშის საფუძველი. ნიშანდობლივია, რომ ობიექტურობის ტესტი უმეტესწილად ეხება იერარქიულ ან სხვა კავშირებს მოსამართლესა და სამართალწარმოების სხვა მონაწილეებს შორის (იხ. სუსგ-№ას-152-148-2016, 03.06.2016).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების მიხედვით ეთიკური ნორმების დაცვა და ეთიკური ნორმების დაცვის დემონსტრირება როგორც პროფესიული, ისე პირადი ასპექტებით მოსამართლეთა საქმიანობის მნიშვნელოვანი ელემენტია.

მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები ჯეროვნად და დაიცვან მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, თავიდან აიცილონ რაიმე სახის მიკერძოება და დისკრიმინაცია და შეინარჩუნონ ბალანსი მხარეებს შორის და უზრუნველყონ საქმის სამართლიანი განხილვა თითოეული მხარისათვის.

მოსამართლეთა საყოველთაო ქარტიის მე-5 მუხლის თანახმად, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მოსამართლე უნდა იყოს მიუკერძოებელი და ეს უნდა იყოს გამოხატული. მოვლენათა გარეგნულად გამოჩენის ფორმას - აღქმას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან, ამ დროს სასწორზე დევს ის ნდობა, რომელსაც სასამართლოები ნერგავენ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 75^{41}-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის თანახმად, სადიციპლინო კოლეგია უფლებამოსილია გამოიტანოს ერთ-ერთი შემდეგი გადწყვეტილება: მოსამართლის დისციპლინური გადცდომის ჩადენაში ბრალეულად ცნობის, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და მოსამართლისათვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შესახებ.

,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 75^{44}-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სადისციპლინო კოლეგია იღებს დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში მოსამართლის ბრალეულად ცნობის, მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ან მოსამართლისათვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შესახებ გადაწყვეტილებას, თუ სადიციპლინო კოლეგიაში საქმის განხილვისას ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადასტურდა აღნიშნული მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ბრალეული ჩადენა, მაგრამ დარღვევის მცირე მნიშვნელობის ან ბრალის უმნიშვნელო ხარისხის გამო სხვა მოტივით (საკითხის დელიკატურობის გამო ან სხვა მიზეზით, მოსამართლის პიროვნების გათვალისწინებით) სადისციპლინო კოლეგია მიზანშეუწონლად თვლის მოსამართლისათვის დიციპლინური სახდელის დაკისრებას და საკმარისად მიაჩნია მისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

სადისციპლინო კოლეგია განმარტავს, რომ სამოსამართლეო უფლებამოსილების განხორციელებისას თითოეული მოსამართლე მოქმედებს, არა მხოლოდ საკუთარი, არამედ მთლიანად სასამართლო ხელისუფლების სახელით. თითოეული მოსამართლის მიერ განხორციელებული ქმედება ზეგავლენას ახდენს სასამართლო სისტემის პრესტიჟზე, რაც პირდაპირ აისახება სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობაზე. ყველა მოსამართლემ უნდა გააცნობიეროს და გაითვალისწინოს, რომ მოსამართლის მაღალი სტატუსიდან გამომდინარე თითოეული მათგანის საქმიანობა წარმოადგენს საზოგადოების მუდმივი, ლეგიტიმური ინტერესის საგანს. ამიტომ, მოსამართლე უნდა ზრუნავდეს მთლიანად სასამართლო ხელისუფლების პროფესიონალიზმის, სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობისადმი საზოგადოების რწმენის დამკვიდრებასა და ამაღლებაზე. თითოეული მოსამართლე უნდა უფრთხილდებოდეს არა მხოლოდ საკუთარ, როგორც ცალკე აღებული მოსამართლის და პიროვნების ავტორიტეტს და პრესტიჟს, არამედ მთლიანად სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს.

განსახილველ შემთხვევაში სადიციპლინო კოლეგიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ მოსამართლე ------ ---------- მიერ კერძო საჩივრის განხილვისას საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობდა საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი არ არის ინსპირირებული დანაშაულებრივი ნიშნებით. საქმეში წარმოდგენილია ---------- ---------- სასამართლოს 2017 წლის 16 მარტის განჩინება, რომლის მიხედვით დგინდება, რომ --- ---------- ---------- სასამართლოს 21.11.2016წ. განჩინებით ---- --------- წარმომადგენლის ---- ---------- განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო --- ------- ----- სასამართლოს 2016 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე, არ იქნა დაკმაყოფილებული უსაფუძვლობის გამო. ------- ---------- სასამართლოს 21.11.2016წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა --------- ---------- და მოითხოვა მისი გაუქმება, ---------- --------- სასამართლომ --------- ---------- კერძო საჩივარი არ დააკმაყოფილა და უცვლელად დარჩა ---------- ------- სასამართლოს 21.11.2016წ. განჩინება.

ამგვარად, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას, გაითვალისწინა მოსამართლის საქმიანი და მორალური რეპუტაცია (წარსულში არ აქვს დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობა), მხედევლობაში მიიღო დისციპლინური გადაცდომის შინაარსი, შედეგები (აღსანიშნავია, რომ საქმის განხილვა განხორციელდა ზეპირი მოსმენის გარეშე და ამასთან, რაიმე სახის ზიანი არ დამდგარა) და მიიჩნია, რომ ------ ---------- სასამართლოს მოსამართლე -------- - ---------- უდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა და გამოყენებულ იქნას დიციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 75^{1}-ე მუხლის მე-8 პუნქტის ,,ბ.დ" ქვეპუნქტით, 75^{41}-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტით, 75^{44}-ე, 75^{52}-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ---------- ---------- სასამართლოს მოსამართლე ---------- ---------- ცნობილ იქნეს ბრალეულად ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 75^{1}-ე მუხლის მე-8 პუნქტის ,,ბ.დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის (მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი) ჩადენისათვის და დაეკისროს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

2. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების ასლები გადაეგზავნოთ კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილ პირებს და ორგანოებს.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში, გადაწყვეტილების გადაცემიდან 10 დღის ვადაში საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მეშვეობით.

სხდომის თავმჯდომარე **იოსებ ვარძელაშვილი**

წევრები: **გიორგი გოგინაშვილი**

მერაბ ლომიძე